საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 28 იანვარი, 2013 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/06

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლისა და 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-5 მუხლს დაემატოს 32-ე პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

• შეფასების 5 ქულიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე გადასაყვანად გამოიყენება შემდეგი სქემა:

ფრიადი (5) – 95 ქულა (A ფრიადი)
კარგი (4) – 85 ქულა (B კარგი)
საშუალო (3) – 65 ქულა (D საშულო)

ჩათვლა" შეფასების ექვივალენტურ შეფასებად ჩაითვალოს სხვა საგნებში მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკული, დამრგვალებული მთელ რიცხვამდე.

• შეფასების 10 ქულიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე გადასაყვანად გამოიყენება შემდეგი სქემა:

ფრიადი (9-10) – 91-100 ქულა (A ფრიადი)
კარგი (6-7-8) – 71-90 ქულა (B კარგი)
საშუალო (3-4-5) - 51-70 ქულა (D საშულო)

ჩათვლა" შეფასების ექვივალენტურ შეფასებად ჩაითვალოს სხვა საგნებში მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკული, დამრგვალებული მთელ რიცხვამდე.

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავჯდომარე ე. მესხია